

Mary Khukhunaishvili-Tsiklauri

მერი ხუხუნაიშვილი-წიკლაური

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Myth and Folklore in Georgian Medieval Secular Prose Romance

“Amirandarejaniani” by Mose Khoneli

მითი და ფოლკლორი მოსე ხონელის (XII ს.) საფალავნო-სათავგადასავლო რომანში „ამირანდარეჯანიანი“

Annotation: The romance is based on the mainstream of depicting moral nature, physical quality of true knights and their life style presented in their fabulous adventures. The author merged artistic image of Amirandarejanisdze into nature of Georgian folk hero, demigod Amirani. Some adventures take place on invented mythical territories. One can find there the motifs of international tales of magic.

Key words: secular romance, Amirandarejanisdze, folklore, mythology

საკვანძო სიტყვები: საერო რომანი, ამირანდარეჯანისძე, ფოლკლორი, მითოლოგია

მითის და ფოლკლორის კავშირი მხატვრულ ლიტერატურასთან უნივერსალური მოვლენაა და ბუნებრივია მისი კვლევა დღემდე აქტუალურია. აღნიშნულმა პროცესმა საქართველოში საერო ლიტერატურის შექმნის დასაწყისშივე იჩინა თავი შოთა რუსთაველის წინამორბედის მოსე ხონელის საფალავნო-სათავგადასავლო რომანში „ამირანდარეჯანიანი“. ბრიტანელი მკვლევრის დოალდ რეიფილდის შეფასებით „ამირანდარეჯანიანი“ „გენიოსის მიერ შექმნილი ნაწარმოებია... რომანის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის მითისა და ეპოსის ზღვარზე დგას, სადაც ღმერთ-კაცი ებრძვის ფანტასტიკურ არსებებს და ამტკიცებს ადამიანური ძალის უპირატესობას, მეორეს მხრივ კი გმირი იბრძვის იდეალის ან ჯილდოსთვის და შინაგან თვისებებს ამჟღავნებს“ (Rayfield, 2000, p. 70). რომანი თორმეტი ამბისგან შედგება, მათი გამაერთიანებელი ამირან დარეჯანისძის თავგადასავლება, რომელიც ერთის მხრივ რეალურ გარემოში, მეორეს მხრივ კი მითიურ-ფანტასტიკურ სივრცეში ვითარდება: მნათობთა სამეფოში, ტილისმათა ქვეყანაში, ზღვათა მეფის სამფლობელოში, ბალხეთში. ავტორი ამირან დარეჯანისძის სახით წარმოგვიდგენს ფიზიკურად ძლიერ და სულიერად ამაღლებულ გმირს, შუასაუკუნეების იდეალურ რაინდს და ამავდროულად ოსტატურად ახერხებს მასში ქართული ხალხური საგმირო ეპოსის გმირის, ამირანის ზეზუნებრივი თვისებების შერწყმას. „ამირანდარეჯანიანი“ ხალხური ეპოსის სხვა ცნობილი სახეებიც გვხვდებიან: ბადრი, უსიბი, იამანი და ამბრი. რომანი არ არის რელიგიური იდეის ან ეროვნული პათოსის მქადაგებელი. არაბები, ინდოელები, თათრები, იემენელები, თურქები, ხაზარები, სპარსელები, ჩინელები და აზიანელები თანასწორები არიან. ამირანდარეჯანისძე და მისი მეგობარი რაინდები მიზნის მისაღწევად უკაცრიელ, ხიფათიან გზებს ირჩევენ, სადაც რეალური და მითიური არსებები სახლობენ... ამირანის თქმულების მოტივების გარდა რომანი ჯადოსნური ზღაპრის საერთაშორისო

მოტივებითაც სარგებლობს, რომელსაც ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებშიც ვხვდებით: მაქციობა ფრინველად და ცხოველად (ATU 301, 325, 315, 329, 408, 449, 445 B, 450, 665, 962 ***), ცალარქა (ATU 480, 566, 825, 943F, 1640), სპილო (ATU 567 A, 851,1310), წითელსახიანი კაცი (ATU 1588*), გველეშაპის მკვლელი (ATU 300, 300 A, 301, 303, 305, 314, 315, 317, 321, 328 A*), დევი (Ogre) იტაცებს ადამიანს, მეფის ასულს (ATU 301), ცალთვალა დევი, დევის თვალის დაზიანება (ATU 485, 1137) თვალუწვდენელი სასახლე, ციხე-კოშკი (ATU 425 C), ჯადოსნური ტყე (ATU 425), დაძმობილება (ერთ დღეს დაბადებულების) (ATU 516), გოლიათი, ბუმბერაზი (ATU 304, 314A, 315, 400,518, 590, 611, 711. 1099, 1640), წალკოტი (ATU 310), უკვდავების წყალი (ATU 303, 314, 332, C*, 519, 533, 550, 551, 590, 706, 707), სპილენძი (ATU 322 *).

რომანში აღწერილია შუასაუკუნეების რაინდის ზნეობრივი კოდექსი, რაინდული ორთაბრძოლა, ომის წესები, შუასაუკუნეების საომარ აღჭურვილობა – ლახტი, ხმალი, შუბი, კინე, საომარი ცხენის ჯიშები, რაინდთა ნადირობა, ლხინი, ჭადრაკით თავშექცევა. ავტორის ცნობით, მაღალი რანგის აზნაურს „ჭაბუკობით“ (ვაჟკაცობით) შეეძლო ხელმწიფეც კი გამხდარიყო. რომანი აქტუალურია შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნების შესასწავლად (აკოფაშვილი, რაინდობა საქართველოში, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 1996; ჯავახია, რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში, 2008; ანჩაბაძე, საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, 2010; წოწორია, ცხენოსანთა შუბით ბრძოლა აღმოსავლეთში. ქართული გამოცდილება, შუასაუკუნეების სამხედრო ისტორიის საერთაშორისო ჟურნალი. ტ. XII. 2014. International Journal of Medieval Military History).

ამირან დარეჯანისძე მიზნად ისახავს სახოლომხვეჭილ რაინდებთან შეჭიდებით გამოსცადოს თავი, უმეგობრდება მათ, ებრძვის მეგობრების მტრებს – ბუმბერაზებს, სამეფოებს, ეხმარება მათ ხელმწიფის ასულზე დაქორწინების სირთულეების დაძლევაში. „მკლავით ღონიერი“ დარეჯანისძე ამარცხებს ოთხასათასიან ლაშქარს, ათ ბუმბერაზს, კლავს ხუთას ღომს და ვეფხვს. რთულ სიტუაციაში მყოფი ბრძღვნის და აგინებს საკუთარ თავს, რითაც ხალხური ეპოსის გმირს ჩამოჰგავს: „გაწბილებულ ამირანს მზისაცა სცხვენოდა და კაცისაცა. თავი მკვდარში ჩაითვალა, ვინ ამირანი, ვინ ეს ამბავიო. გული ჰკლავდა, ჯავრი და ვარამი დღეს უბნელებდა მზიანსა, სიცოცხლეს ჰგმობდა, სიკვდილსა ნატრობდა ნამუსიანსა. საბნელოს ჩაჯდა ამირან, შამაიკრიფა ფეხები, თუ ამის მეტი არ ვიყავ, სამზეოს რას ვეხეხები“ (ამირანიანი, 2019, გვ. 163). „ამირან ჩამატროდა, ცხენ ოქროს ჩამაგდებული, გზად დედა წამეგება: – რად მახვედ დაღრუბლებული? – ღმერთი კი არ ორ, დედაო, სუ ვიყვავ გამარჯვებული“ (ამირანიანი, 2019, გვ. 178). დარეჯანისძე მოწინააღმდეგეს არ პატიობს ბრძოლის დროს სიმუხთლეს, რაინდული პატივით ეპყრობა დამარცხებულ მეფეს, ფათერაკთან შესახვედრად, მიუხედავად გაფრთხილებისა, რთულ გზას ირჩევს. ამირანის ეპოსის გმირის მსგავსად სახელგანთქმული რაინდების მიმართ შურს ვერც ის მალავს და ამავედროულად დაჩაგრულთა ქომაგიცაა.

მოსე ხონელი მკითხველისთვის ამირან დარეჯანისძის გაცნობას პირველივე კარიდან, „აბესალომ ინდოთ მეფის ამბიდან“ იწყებს. პროლოგი ხალხური ეპოსის ცნობილი ეპიზოდს „სამთა ნადირობას“ ეხმიანება: „სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და მმანი მისნი, წინ ირემი წამოუხტათ, ოქროსია რქანი მისნი“ (ამირანიანი, 2019, გვ. 100). ამ ეპიზოდის სიძველეს ქართულ ქორეოგრაფიის ისტორიაც ადასტურებს. უძველეს ქართულ ფერხულებად სამი ფერხულია მიჩნეული: „დალი კლდეში მშობიარობს“, „სანადირო“, იგივე „სამთა ნადირობა“ და „ლილე“. პირველი და მეორე მონადირეთა საზოგადოებაში შეიქმნა, „ლილე“ კი ასტრალური პანთეონს უკავშირდება და მიწათმოქმედთა საზოგადოების პირმშოა (თათარაძე, 1976, გვ. 16-17). ამირანოლოგთა აზრით, სწორედ სამონადირეო ბაღადა „დალის კლდეში მშობიარობს“ დაედო საფუძვლად ამირანის დაბადების ამბავს (ვირსალაძე, 1964, გვ. 74-79). მოსე ხონელის რომანის მიხედვით, ნადირობისას ინდოეთის მეფე აბესალომი ქურციკს გადაეყრება, რომელსაც „რქანი ესხნეს ოქროსა ფერნი, თვალნი და ჰკლინი – შავნი, მუცელი – თეთრი, და ზურგი – მოწული. ჩაეხვეწა ქუეციკი და უჩინო იქნა“ (ქართული

მწერლობა, 1987, გვ. 280). ცნობილია, რომ ნადირთლვთაების რჩეული ცხოველები გამოირჩევიან თეთრი ფერით, შუბლზე თეთრი ნიკორით, ოქროს ან მანათობელი რქებით, ლაქებიანი ჭრელი ტყავით. ქურციკს მეფის მსახურები დაედევნენ, რამოდენიმე დღე უშედეგოდ ეძებდნენ, ბოლოს ქვითკირის სახლს მიადგნენ. სახლის შიდა კედელზე ამირანდარეჯანისძის, ორი რაინდის და ქალის სურათები იხილეს. კედლის წარწერა იტყობინებოდა: „ოდეს ქაჯნი დავხოცეთ და ზღვათა მეფის ასული გამოვიყვანეთ, ამას ადგილას მოვედითო“ (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 281). მეფე აბესალომი იპოვნის ამირან დარეჯანისძის ხანდაზმულ თანამებრძოლ, სარვასამიძეს. აბესალომ მეფის თხოვნით სარვასამიძე ამირან დარეჯანისძის თავგადასავლის თხრობას იწყებს, რომელიც თორმეტი კარისგან შედგება, მოყოლას ერთ წელიწადს ანდომებს. სარვასამიძის თქმით, „ამირან დარეჯანისძის სწორი არავინ ყოფილ არს პირსა ყოვლისა ქვეყნისასა და ვგონებ არცა ვინ წაღმართ გამოჩნდების მისებრიო. იგი არის გულითა ქველი, გონებითა ბრძენი და მეცნიერი. მას უვლიან ყოველნი ქვეყანანი და კარგად იცის ამბავნი უცხოთა ქვეყანათანო“ (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 286, 347). ამირანის საგვარეულო ისტორიას მოსე ხონელი რატომღაც გვერდს უვლის და ბაღდადის ამირ მუმლის ყმად წარმოგვიდგენს, თავად ამირ მუმლი დარეჯანისძეს ძმად მოიხსენიებს (იქვე, გვ. 347). ხალხური ეპოსის ვერსიების მიხედვით ამირანი ნადირთლვთაება დალის შვილია. მატრიარქატის პატრიარქატით ჩანაცვლებამ, მონადირეთა საზოგადოებიდან მიწათმოქმედთა საზოგადოებაზე გადასვლამ, ქრისტიანულმა რელიგიამ და პატრიარქატმა ცვლილებები შეიტანა ამირანის თავგადასავალში. ზოგიერთ ვერსიაში ამირანის დედა, წარმართული ნადირთლვთაება დალი აღარ ფიგურირებს, წინა პლანზეა ამირანის მამა: მონადირე დარეჯანი, სულკალმახი, სულთანი, სოლომონი, ჟადალი. ქალღვთაება ნაადრევი მშობიარობის დროს კვდება. დედის თხოვნით ახალშობილ ამირანს გზაჯვრედინზე, უღრან ტყეში ან იამანის წყაროსთან ტოვებენ. იამანი იშვილებს ამირანს და თავის შვილებთან ბადრისა და უსუპთან ერთად ზრდის. მართალია მოსე ხონელი ამირანის ბიოგრაფიას არ გვაცნობს, მაგრამ ამირანის დარეჯანის ძედ მოხსენიებით ხაზს უსვამს ხალხური ეპოსის ვერსიების საფუძვლიან ცოდნას და მამად მონადირე დარეჯანის აღიარებას. „ამირანდარეჯანიანი“ შუასაუკუნეების ქრისტიანულ ფეოდალურ საქართველოში დაიწერა, ავტორმა წინა პლანზე ამირანის მამა, დარეჯანი წამოსწია და ამავდროულად მიგვახვედრა, რომ ამირან დარეჯანისძე ხალხური ეპოსის მემკვიდრე იყო.

დარეჯანისძის თავგადასავალი ბადრი იამანიძეს უკავშირდება. დარეჯანისძე ბადრის ყმას გადაეყრება და მისგან იგებს შეუდარებელი რაინდის, ბადრის გასაჭირის ამბავს. ბადრი ბაყბაყ დევმა მეგობრებთან ერთად მოიტაცა, როცა საცოლესთან, ზღვათა მეფის ასულთან ერთად შინ ბრუნდებოდა. ბადრის მამამ იამანმა დარეჯანისძესთან ბადრის ყმა გაგზავნა და შვილის დახსნაში დახმარება სთხოვა:

„შენ ხარ ღონე ჩვენიო“. რომანში ხალხური ეპოსიდან გამოყენებულია ამირანის, ბადრის და უსუპის სამ ვეშაპთან ბრძოლის მოტივი, რომელიც რამოდენიმე ეპიზოდად არის გაშლილი. უსიბი დარეჯანისძის შეძენილი მეგობარია. შავი ჭაბუკის და მისი ლაშქრის დამარცხების შემდეგ ბადრი იამანისძე ტყვეებს ანთავისუფლებს, რომელთა შორის უსიბიცაა, რომელიც ბადრის უერთგულესი მსახური ხდება. მართალია უსიბი: „უსუსური იყო, თუ არა გული კაცისა უკეთესი არა ეგებოდა... იყო პირდაპირი, პირში მთქმელი, დაუფარავად ამხელდა ორგულეს“ (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 309-310).

„ვეშაპთმებრძოლის“ მოტივი თავდაპირველად ბადრის საგმირო თავგადასავალში გვხვდება, სადაც ორი ვეშაპი ფიგურირებს: თეთრი და შავი, ვეშაპთმებრძოლი კი სამია: ბადრი, უსიბი და ბადრის ყმა ინდო ჭაბუკი. რომანში ხალხური ეპოსის ანალოგიური სიტყვიერი ფორმულაა გამოყენებული: „შავი მე და თეთრი თქვენო“, – ამბობს ბადრი. უსიბი უმაღვე პასუხობს: „ჩემი კერძი თქვენდავე მომიხსენებიაო“ (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 296). ბადრი შავ ვეშაპს კლავს. ბადრის ყმა ინდო ჭაბუკი თეთრს ებრძვის და მოულოდნელად მის ხახაში წელამდე ჩაინთქმება, ვეშაპი

გაიქცევა. ბადრი თეთრ ვეშაპსაც ჰკლავს და ინდო ჭაბუკს დაიხსნის. საყურადღებოა, რომ თავად ამირანდარეჯანისძის საგმირო თავგადასავალი ხალხური ეპოსისი მსგავსად სამ ვეშაპთან ბრძოლით იწყება (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 314). კლდის კარი იხსნება და სამი საშინელი ვეშაპი გამოდის. „ამირან დარეჯანისძემ თქვა: შავი – მე, თეთრი შენ სარვასამისძე, წითელი – უსიბსო“. „წითელიც შენდავე მომიხსენებიაო“, პასუხობს უსიბი. დარეჯანისძემ წითელი მოკლა, შავმა კი დარეჯანისძე ჩანთქა და გაიქცა. სარვასამიძე დაედევნა და კუდი მოჰკვეთა. ვეშაპმა სახლში შეასწრო, გზა და კვალი ვერ იპოვნეს. „წესი იყვის დარეჯანისძისა, რომე ორნი დაშნანი იქით და აქეთ მოგვისგან ესხნიან. ამოიღო, მუცელი დაუჭრა, გვერდი გაუპო, სისხლით შესვრილი გამოვიდა და უსაყვედურა: ავად მიშველეთო“ (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 315). მერვე კარში ამირან დარეჯანისძის „ტილისმათა ქვეყანაში“ სალაშქროდ წასვლაა აღწერილი. ამირან დარეჯანისძე ბოროტი ბაქჯარ ქველისგან სამეფოს დასახსნელად მიდის, რომელმაც ქვეყნის წალკოტცი დაისაკუთრა, ვერავინ ზედავს იქ შესვლას, ბაღს კი დიდი და პატარა ვეშაპი დარაჯობს. დარეჯანისძე და სავარსამიძე ვეშაპების მოსაკლავად მიდიან (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 398-399). ამირანს წელზე ორი ხმალი ჰკიდია, ვეშაპმა ამირანი ხმლებიანად ჩაყლაპა. დარეჯანისძემ დაშნა ჰკრა და ვეშაპმა პირიდან ამოაგდო, სავარსამიძე ცხენიანად თავისუფლად იდგა ვეშაპის ხორხში. დარეჯანისძემ ხმალი ჰკრა და სავარსამიძე ვეშაპის ხორხიდან ცხენიანად გამოვიდა. პატარა ვეშაპი კი დარეჯანისძის ყმებმა მოკლეს (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 399). რომანის მეთორმეტე კარში მოთხრობილია ამირანის „ბალხეთს შესვლისა ამბავი“. სამეფოს მონა ბალხამი აუჯანყდა, მეფე მოკლა, დედოფალი და ხელმწიფის ასული კი ერთ ქალაქს აფარებენ თავს. დარეჯანისძემ ბალხამი მოკლა, სამეფო იხსნა და მეფის ასულზე იქორწინა. ბალხეთს ღამაზ დევიც ერჩის, რომელიც უზარმაზარ ვეშაპზე ამხედრებული ღამდამობით ქალაქს სტუმრობს და ადამიანებს იტაცებს. დარეჯანისძე კლავს ღამაზ დევს და ვეშაპს, რომლის სიდიდის ხილვამ ხალხს თავზარი დასცა (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 509).

საყურადღებოა, რომ მოსე ხონელი ამირან დარეჯანისძის და ბადრის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღებას ამბრი არაბის მიმართ იჩენს, რომლის თავგადასავალი სრულად არის ასახული მეხუთე კარში, „ამბრი არაბისა ამბავში“. ამბრი იამანეთში დევნილობაში დაიბადა, არაბეთიდან დევნილი მეფის დღგვაროვნის ოჯახში. ამბრი „ლომ ჭაბუკმა“ აბუტარმა აღზარდა: შვიდი წლისამ უკვე იცოდა „ოროლთა მღერა“ – შუბით თამაში, გამორჩეული მშვილდოსანი და მონადირე იყო, ლომს როგორც კატას ისე კლავდა. ასტროლოგის წინასწარმეტყველებით მისი თანასწორი ქვეყანაზე არავინ იქნებოდა. პირველი ბრძოლა ამბრმა მეკობრეებს მოუგო. როცა ხანთა მეფემ იამანეთის სამეფოს დარბევა გადაწყვიტა. ამბრი პირადად შეებრძოლა ხანთა მეფეს, მეფე შეიპყრო, მაგრამ რაინდულად შეინდო: „*მე მონა ვარ და არ ეგების ჩემგან არცა შენი სიკვდილი და არცა პატიმრად ჩაყვანაო*“ (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 332). მოგვიანებით, როცა ხანთა მეფემ მისი მოკვლა გადაწყვიტა, ამბრმა აღარ დაინდო და სიცოცხლეს გამოსასალმა (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 344). რაინდული ორთაბრძოლა გამართა ამბრმა იამანეთის მახორებელ ინდო ჭაბუკთან, მათი ორთაბრძოლა შვიდი დღე გაგრძელდა, ამბრმა დაამარცხა ინდო ჭაბუკი, ცხენიც მოუკლა, დამარცხებულთან მივიდა და მძობა შესთავაზა: „*დღეისგან შენი ძმა და მონა ვარო*“ (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 339). ამირან დარეჯანისძე არაბეთიდან ჩამოსული უცნობისგან ამბრის საგმირო თავგადასავლების ამბავს შეიტყობს, გადაწყვეტს პირადად ეახლოს, გაიცნოს და დაუმეგობრდეს. ამბრი იმ დროს ოცდათხუთმეტი წლისაა. ამირან დარეჯანისძე ექვს ყმასთან ერთად ათიათასკაციანი ლაშქრით არაბეთს მიდის. გზაზე შავად მოსილი კაცები შემოხვდნენ, რომლებმაც უამბეს, რომ „*ლომთა ლომი უსწორო ჭაბუკი ამბრი არაბი მოკვდაო და მით შავითა არის ყოველი არაბეთი და იამანეთიო*“ (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 346). ამბრის გარდაცვალების მიზეზი არ სახელდება, მწერალი ამ თემას გვერდს უვლის. დამწუხრებული დარეჯანისძე ბაღდადში ბრუნდება.

რას უნდა გამოეიწვია მოსე ხონელის ამბრის თემით დაინტერესება?! რომანში ამბრი არაბი ხალხური ეპოსის გმირების ამირანის და ბადრის თანასწორად არის წარმოდგენილი. ამირანის თქმულების მიხედვით ამბრი ამირანის მთავარი მეტოქეა, მისი დამძლევი არავინაა. ამირანი დიდი ხანია ამბრს დაეძებს, რომ ძალა გამოსცადოს (ჩიქოვანი, 1947, გვ. 280). ეპოსის კახური ვერსიით,

ამირანი ამბრის გოლიათ დედას შემთხვევით გადაეყრება, რომელსაც გარდაცვლილი ამბრი მოჰყავს: „ქარის კაცს მეკვლა ამბრი, მკლავი მიწაზე მითრევდა, გუთანი თითებითა ხნავდა“ (ჩიქოვანი, 1947, გვ. 312). ფშაური ვერსიით მიცვალებულ ამბრის თორმეტი უღელი კამეჩი ძლივს სძრავდა. ამბრის ბარკალი კი მიწაზე მიეთრეოდა და მიწას მიჰლარავდა... ამბრის დედამ იცნო ამირანი, თავისი შვილის მტრის გამოცდა მოინდომა და უთხრა: „ამბრის ბარკალი მიწაზე უპატიურად ეთრევა და მომაწოდეთ. ამირანმა ამბრის ბარკალს ძვრაც ვერ უყო. ღმერთმა იცის ჩემო ამირან ამბრის ვერ ედარებოდი, მკვდარმა გაჯობა ცოცხალსაც, ცოცხალს რას ედარებოდი?“ (ამირანიანი, 2019, გვ. 162). „ამბრის დედამ მათრახის ტარით თავისუფლად შემოდო შვილის ფეხი ურემზე“ (ამირანიანი, 2019, გვ. 17). ფოლკლორისტ ელ. ვირსალაძის აზრით ბადრის დედის მიერ ამირანის გაწვილების ეპიზოდი ეპოსის უძველესი მოტივია და ამირანის ქალღვთაებებთან დაპირისპირებას ასახავს. ამ მოტივს ამირანის ეპოსის სხვა ვერსიებშიც ვხვდებით (ვირსალაძე, 1964, გვ. 84). პროფ. მიხეილ ჩიქოვანი ამირანის ამბის ეპოსად ჩამოყალიბებას ასტრალური რელიგიის დამკვიდრებას და გუთნური მიწათმოქმედების განვითარებას უკავშირებდა, როცა მონადირეობა ჯერ კიდევ ინარჩუნებდა მნიშვნელოვან ადგილს არა მარტო სამეურნეო, არამედ იდეოლოგიურსა და კულტურულ ცხოვრებაში, რასაც ელ. ვირსალაძეც იზიარებდა (ჩიქოვანი, 1947, გვ. 62, 69; ვირსალაძე, 1964, გვ. 75, 80). ამირან-ამბრის მოტივიც თქმულებაში ამ პერიოდში უნდა შესულიყო. სიტყვა „ამბარი“ სპარსული წარმოშობისაა და ეწოდება დიდი ტევადობის ხორბლეულის ან ფქვილის შესანახ დიდი ტევადობის სათავსს ეწოდება. „ამბრი“ არაბული ლექსიკიდანაც უნდა იყოს გავრცელებული და სურნელოვან ნივთიერებას ეწოდება, რომელიც ამბრის ხისგან მიიღება. ამბრის ხე 50 მეტრის სიმაღლემდე იზრდება 1.5 მეტრის დიამეტრით. ყურადსაღებია, რომ ამბრის ხის ხეივანს ქარსაცავად იყენებენ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1. გვ. 351-353, 1975). სავარაუდოდ გოლიათი „ამბრი“ მიწათმოქმედთა შემწე და ქარისგან მოსავლის დამცველი უნდა ყოფილიყო. ქარის მითოსის კვალი ქართულმა მითოლოგიურმა პოეზიამ შემოგვინახა, დაპირისპირებული მთვარის და მზის შუამავლად „ზენა ქარი“ გვევლინება (ქართული ხალხური პოეზია, 1972). ქარის მითოსი ქართულ სინამდვილეში შესწავლილი არ არის. მეგრულ ლექსიკაში ოცზე მეტი სახის ქარია შემორჩენილი. მეგრელებს ქარის ორი ღვთაება ჰყავდათ: მამაკაცი ღვთაება „ქაქამინჯე“ და ქალღმერთი – „ჩიჩა“, რომელსაც თმაგაწეწილი ქალად წარმოიდგენდნენ. ქარის ღვთაებებისადმი მიძღვნილი რიტუალი მექარეობის დღეს, გაზაფხულზე სრულდებოდა (ქობალია, 2010, გვ. 65). ჩვენი აზრით, სამონადირეო საზოგადოების ღვთაების, დალის შვილის, ამირანის დაპირისპირება მიწათმოქმედების ღვთაებრივი ოჯახის შთამომავალთან, ამბრისთან, იმ მითოსური ამბის ნაწილია, რომელმაც ამირანის ეპოსში, ამირანის საგმირო თავგადასავლებში დაიდო ბინა. ამირანის ვერსიებში ამბრი, მისი გოლიათი დედა (და), მქსოველი ცოლი ნაყოფიერების, მიწათმოქმედების ღვთაებრივი ოჯახის დესაკრალიზებული სახეებია, რომელთა უნივერსალური ატრიბუტი თითისტარი და რთვაა. ამირანის ეპოსის ზოგიერთ ვერსიაში მომაკვდავი (მიცვალებული) ამბრის დასაფლავების ეპიზოდი მიწათმოქმედების ბერძნული ღვთაების დემეტრას ასულის, კვდომა – აღდგომის ქალღვთაების პერსეფონეს მიწისქვეშეთში გაცილების რელიგიურ რიტუალს ეხმიანება (გელოვანი, 1983, გვ. 407). აღსანიშნავია, რომ ამირანის თქმულების ზოგიერთ ვერსიაში მიწათმოქმედების ღვთაებრივი ოჯახის, ამბრის კვალი დაკარგულია. ამბრი სხვა გოლიათებითაა ჩანაცვლებული: ანდერობით, ჰანდრალომით, ანდრალომით, მერაბით, რომლებიც ცოცხლად იმარხებიან, ამირანი მარხილიდან მათ გადმოვარდნილ ფეხს მშვილდ-ისრით თავისუფლად სწევს და მარხილზე დებს. როგორც ამირანის ეპოსის ვარიანტების შესწავლა ცხადყოფს, თქმულების ეპიზოდებს, მოტივებს სხვადასხვა ასაკი და ისტორია აქვს და მათი შესწავლა ნათელს მოჰფენს არა მარტო ეპოსის ცალკეული ეპიზოდების და მოტივების მითოსურ საფანელს, არამედ თავად ქართული მითოსის ისტორიას. სავარაუდოდ, მოსე ხონელის ეპოქაში ამბრის, როგორც მიწათ მოქმედების ღვთაების სახე, ამბრის ოჯახთან დაკავშირებული ამბები ცნობილი უნდა ყოფილიყო, თუმცა დღეისათვის ერთადერთი კახურმა ვერსიამ ცნობილი, რომელშიც ამბრის მკვლელად მითიური ქარის კაცია დასახელებული. სავარაუდოდ შუასაუკუნეებში მოღვაწე საერო მწერალს, მოსე ხონელს მეტი უნდა სცოდნოდა ამბრისა და მის ღვთაებრივ ოჯახზე, მასთან დაკავშირებულ ხალხურ გადმო-

ცემებზე, რომლებიც სამწუხაროდ დაკარგულია. ჩვენი აზრით,საერო მწერალმა მოსე ხონელმა ამირანის მსგავსად ამბრის სახეც ლიტერატურულად გადაამუშავა.

„ამირანდარეჯანიანის“ მითო-ფოლკლორული მოტივების შესწავლამ ცხადყო, რამდენად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული მწროლობის ცხოვრებაში ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ, რომელიც წარმართულ ეპოქაში იქმნებოდა, ქრისტიანულ რელიგიას გადაურჩა და ჩვენამდე მოღწეული შუა საუკუნეების საერო ლიტერატურის, მოსე ხონელის საგმირო-საფალავნო რომანის შთაგონების წყაროდ იქცა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აკოფაშვილი, გ. (1996). რაინდობა საქართველოში, თბილისი: ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. ISBN 978-9941-13-884-3.
- ამირანიანი. (2019). ქართული ხალხური პროზა, ტ. 2. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- ანჩაბაძე, გ. (2010). საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (1921 წლამდე). თბილისი: ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010, ISBN 978-9941-9126-0-3.
- გელოვანი, ა. (1983). მითოლოგიური ლექსიკონი, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ვირსალაძე, ე. (1964). ქართული სამონადირეო ეპოსი. თბილისი: „მეცნიერება“.
- თათარაძე, ა. (1976). ძველი ქართული ფერხულები (სვანური), თბილისი: „მეცნიერება“.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, (1986). ტ. 1, თბილისი: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, (1975). ტ. 1, თბილისი.
- ქართული ხალხური პოეზია, 1972, ტ. 1. თბილისი: „მეცნიერება“.
- ქობალია. ა. (2010). მეგრული ლექსიკონი. თბილისი: „არტანუჯი“. ISBN 978-9941-421-14-3.
- ჩიქოვანი, მ (1947). მიჯაჭვული ამირანი. თბილისი: თსუ.
- ხონელი, მ. (1987). ამირანდარეჯანიანი. ქართული მწერლობა, 2. თბილისი: „ნაკადული“.
- ჯავახია, ბ. (2008). რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში. თბილისი: ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.
- Rayfield, D. (2000). The Literature of Georgia, A History. London; “Curson“.
- Uther, Hans-Jorg (2004). The Types of International Folktales. Volume III. Helsinki, University of Helsinki.
- Tsotsoria, M. (2014). Couched Lance and Mounted Shock Combat in the East. Georgian Experience: International Journal of Medieval Military History. Vol. XII. 2014.

References:

- Ak'opashvili, G. (1996). Raindoba Sakartveloshi. [Chivalry in Georgia]. Tbilisi: Institute of History and Ethnology.
- Amiraniani. (2019). Kartuli khalkhuri p'roza. T'. II. [Amiraniani. Georgian folk proze, II]. Tbilisi: TSU Press. ISBN 978-9941-13-884-3.
- Anchabadze, G. (2010). Sakartvelos samkhedro ist'oriis sak'itkhebi 1921 ts'lamde. [The Problems of Georgian Military History till 1921]. Tbilisi: Iia State University. ISSN 978 9941-912-0-3.
- Chikovani, M. (1947). Mijach'vuli Amirani. [Amirni Chained]. Tbilisi: TSU Press.
- Gelovani, A. (1983). Mitologiuri leksik'oni. [Mytological Dictionary]. Tbilisi: “Sabch'ota Sakartvelo”.
- Javakhia, B. (2008). Raindoba shuasauk'uneebis Sakartveloshi. [Chivalry in Middle Ages of Georgia]. Tbilisi: Institute of History and Ethnology.
- Kartuli enis ganmartebiti leksik'oni. (1986, I). [Georgian Explanatory Dictionary]. Tbilisi: “Metsniereba”.
- Kartuli khalkhuri p'oestia (1975, I). [Georgian Folk Poetry }. Tbilisi: “Metsniereba “.
- Kartuli sabch'ota entsik'lop'edia. (1975, I). [Georgian Soviet Encyclopedia]. Tbilisi: “Metsniereba”.
- Kobalia, A. (2010). Megruli leksik'oni. [Mingrelian Dictionary]. Tbilisi: “Artanuji”.
- Khoneli, M. (1987). Amirandarejaniani. [Amirandarejaniani]. Tbilisi: “Kartuli Mtserloba“.
- Rayfield, D. (2000). The Literature of Georgia. A History. London: “Curson“.
- Tataradze, A. (1976). Dzveli kartuli perkhulebi (Svanuri). [Ancient Georgian Round Dances (Svan)]. Tbilisi: “Metsniereba“.
- Tsotsoria, M. (2014). Couched Lance and Mounted Shock Combat in the East. Georgian Experience: International Journal of Medieval Military History. Vol.XII. 2014.
- Uther, Hans-Jorg (2004). The Types of International Folktales. Volume III. Helsinki: University of Helsinki.
- Virsaladze, E. (1964). Kartuli samonadireo ep'osi. [Georgian Hunting Epos]. Tbilisi: “Metsniereba”.